

პრაქტიკული ტრენინგები სოფლის მეურნეობაში მსხვილფეხა ცხოველის ჯანმრთელობა

პროგრამის ტიპი: პროფესიული მომზადების ტრენინგი

ხანგრძლივობა - 88 საათი

განხორციელების ადგილი - დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარკინეთი

დაშვების წინაპირობა - N/A

პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია მოქმედი და მომავალი ფერმერებისთვის მსხვილფეხა ცხოველის ჯანმრთელობის შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამყარება. მსმენელები შეისწავლიან ცხოველთან მუშაობის უსაფრთხოების წესებს, საქართველოში გავრცელებული ძირითადი ინფექციური, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებების პროფილაქტიკასა და მკურნალობას, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას და მის მნიშვნელობას, პროფესიონალურ წველას, ინტერვენციებს, ცხოველთა გამრავლებასა და ხელოვნური განაყოფიერების მეთოდებს, ფერმაში გამოსაყენებელ სამკურნალო და პროფილაქტიკურ საშუალებებსა და მათ სწორ გამოყენებას, წამლის ორგანიზმში შეყვანის გზებს.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: საოჯახო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები

პროგრამის განხორციელების მეთოდი: ჰიბრიდული: თეორიული და პრაქტიკული სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში, დისტანციური სწავლება ვიდეო-გაკვეთილების საშუალებით

კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები:

- ცხოველთა ჯანმრთელობის და ნაყოფიერების პრობლემების იდენტიფიცირება რეაგირება

- შეჯვარების სხვადასხვა მეთოდები
- ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია
- ინფექციური, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებების ამოცნობა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება
- ნივთიერებათა ცვლის დარღვევის ამოცნობა შესაბამისი ღონისძიებების გატარება
- ჩლიქების და რქების კუპირება
- პროფესიონალური წველა

შეფასების ინსტრუმენტები: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, ტესტირება

სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში: 12-15 სტუდენტი

ტრენინგის ხელმძღვანელი: ნატო ფერაძე

ტრენერები: დიმიტრი ოდიშვილი, გიორგი ბუცხრიკიძე

სწავლის შედეგი	უნარები / კომპეტენციები	სწავლის მეთოდი	პრაქტიკა / თეორია	სასწავლო გარემო	შეფასების ინსტრუმენტი	ხანგრძლივობა
ცხოველთა ჯანმრთელობის და ნაყოფიერების პრობლემების იდენტიფიცირება რეაგირება	ცხოველზე დაკვირვება, ჯანმრთელობის მდგომარეობის ამოცნობა, ნაყოფიერების პრობლემების ამოცნობა, მოგების პროცესში დახმარება, დაავადებული ცხოველის ამოცნობა	ლექცია/პრაქტიკა	თეორია / პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია / ონლაინ პორტალი	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	14
შეჯვარების სხვადასხვა მეთოდები	შეჯვარებისთვის შესაბამისი ცხოველის შერჩევა; მეურნეობის სპეციფიკიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეწყვილების მეთოდის შერჩევა	ლექცია/ დემონსტრაცია/ პრაქტიკა	თეორია / პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია / ონლაინ პორტალი	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	8

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია	იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის და მიკვლევადობის მნიშვნელობა; ჩანაწერები ცხოველთა პროდუქტიულობის, ჯანმრთელობის, აღწარმოების საკითხებში	ლექცია / პრაქტიკა	თეორია / პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია / ონლაინ პორტალი	პრაქტიკული დავალება	6
ინფექციური, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებების ამოცნობა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება	მსხვილფეხა ცხოველთა ძირითადი ინფექციური, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებების აღწერა, დაავადებული ცხოველიდან ანამნეზის შეკრება, ინფექციურ, ინვაზიურ და არაგადამდებ დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარება, ცხოველთა დაჯგუფება, დაავადების მდგომარეობაში გარკვევა და მოსალოდნელი სირთულეების გაცნობიერება	ლექცია / დემონსტრაცია / პრაქტიკა	თეორია / პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია / ონლაინ პორტალი	გამოკითხვა / ტესტირება / პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	16
ნივთიერებათა ცვლის დარღვევის ამოცნობაა შესაბამისი ღონისძიებების გატარება	ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები, ბრძოლის ღონისძიებების გატარება, პარაზიტული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით	ლექცია / დემონსტრაცია / პრაქტიკა	თეორია / პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია / ონლაინ პორტალი	გამოკითხვა / ტესტირება/ პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	16

	პრევენციული ღონისძიებების გატარება					
ჩლიქების და რქების კუპირება	ადრეულ ფაზაში რქების მოშორების მნიშვნელობა, მოძრაობის პრობლემების ამოცნობა და მკურნალობა, ანესთეზიის მნიშვნელობა, ცხოველის მომზადება მანიპულაციისთვის, ჩლიქებისა და რქების სწორად კუპირება, ნარჩენების მოვლა, გამოყენებული მედიკამენტების აღრიცხვა	ლექცია / დემონსტრაცია / პრაქტიკა	თეორია / პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია	გამოკითხვა / ტესტირება/ პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	20
პროფესიონალური წველა	ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით ცხოველის მომზადება წველისთვის, წველისწინა და წველისშემდგომი ცურის დეზინფექცია; ფარულ მასტიტებზე დიაგნოსტიკა და ტესტის პასუხების ინტერპრეტირება; ჩანაწერების წარმოება	ლექცია / დემონსტრაცია / პრაქტიკა	თეორია / პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	8

სასწავლო მასალები - ცხოველების ჯანმრთელობის შეფასება და მშობიარობა; ვეტერინარული მედიკამენტების სწორი მართვა და გამოყენება; ინფექციური დაავადებების ამოცნობა; ცხოველთა ეპიდემიები; მეტაბოლური დარღვევების და პარაზიტული დაავადებების ამოცნობა და მკურნალობა; შეჯვარების სხვადასხვა მეთოდები

ტრენინგის კომპეტენციები - ტრენინგის ხელმძღვანელს უნდა უდასტურდებოდეს ფერმერობის, ვეტერინარიის მიმართულებით უმაღლესი განათლება. დამატებით, ტრენინგის ხელმძღვანელს გავლილი უნდა ჰქონდეს ტრენინგი შვეიცარიული დუალური სწავლების მეთოდოლოგიაში. დამხმარე ტრენინგებს უნდა უდასტურდებოდეს ვეტერინარიის ან მეცხოველეობის მიმართულებით პროფესიული ან უმაღლესი განათლება.

სასწავლო გარემო: ფერმა, აუდიტორია, ონლაინ პორტალი

თეორიული გაკვეთილებისთვის:

- საკლასო ოთახი, შესაბამისი აღჭურვილობით (მაგიდა, სკამები, კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი, დაფები, მარკერები, სადემონსტრაციო მულაჟები)
- საკლასო ოთახი ფერმაში, შესაბამისი აღჭურვილობით (მაგიდა, სკამები, კომპიუტერი, პროექტორი, დაფა, მარკერები)

პრაქტიკული გაკვეთილებისთვის:

- მსხვილფეხა საქონლის ფერმა, შესაბამისი საქონლითა და აღჭურვილობით
- ულტრაბგერითი აპარატი
- ვეტერინარული პრეპარატების საველე ჩანთა
- ვეტერინარული პრეპარატების სათავსო (ფერმის)
- რძის საწოვარა
- მშობიარობის დამხმარე ჯაჭვი
- ხბოების ჩასაცმელი
- მაგნიტის გადასაყლაპი
- რეფრაქტომეტრი
- ფერმაში სამუშაო ფორმა
- ჩლიქების დანა
- ჩლიქების დასამუშავებელი კომპლექტი
- ახურების დეტექტორი

- თერმომეტრი
- სპერმის გასაღობი
- ძროხის მოდელი, დაშლადი
- აკუპუნქტურის მოდელი
- საყინულე
- გაყინული ჩლიქის დასამუშავებელი მაგიდა
- ჩლიქების დასამუშავებელი დაზგა
- რქების კუპირების ხელსაწყო
- მასტიტის ტესტი
- მასტიტის დაფა
- წინასწარი ჩამოწველის ჭურჭელი
- სავარჯიშო ცური
- საყურე ნომრის დასამაგრებელი მამა
- ცხოველთა აღწარმოებისთვის საჭირო დოკუმენტაცია
- ხბოს გალია
- მასალა-ნედლეული
- პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა
- რძის ანალიზატორი ლაქტოსკანი
- Ph-მზომი
- ანტიბიოტიკის ინკუბატორი სწრაფი ტესტებით

სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტები

სტუდენტების შეფასება მოხდება პრაქტიკული და თეორიული გამოცდის საფუძველზე პრაქტიკული გამოცდის დროს მსმენელი ასრულებს კონკრეტულ დავალებას, რომელიც დაკავშირებულია ფერმაში ყოველდღიურად განსახორციელებელ სამუშაოებთან. პრაქტიკული დავალება შესაძლოა შეფასდეს როგორც შესრულების პროცესში (დაკვირვებით) ასევე შეფასდეს მხოლოდ შესრულებული სამუშაო

(დავალების პროდუქტი). გამომდელი აკვირდება და/ან აფასებს შესრულებულ სამუშაოს ჩეკლისტის საფუძველზე, მაქსიმალური ქულით - 6. თეორიული გამოცდა მოიცავს წერილობით / ან ზეპირ გამოცდას, რომლის მაქსიმალური ქულაა - 6 გამოცდებზე შეფასება ხდება 0.25-იანი ბიჯებით.

საბოლოო შეფასება = 0.6X პრაქტიკული გამოცდის შედეგი + 0.4X თეორიული გამოცდის შედეგი

გამოცდა ჩაითვლება წარმატებულად, თუ მსმენელი მიიღებს 4-ზე მაღალ შეფასებას

გამოცდაში ჩაჭრის შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე. პირველი განმეორებითი გამოცდა უფასოა.

მეორე განმეორებითი გამოცდის საფასურია 200 ლარი. მეორე გამოცდაზე ჩაჭრის შემდგომ, მსმენელს უფლება აქვს, თავიდან

დარეგისტრირდეს პროგრამაზე, გადაიხადოს საფასური და გაიაროს კურსი სრულად